



სექტემბერი 2018

## მნიშვნელოვანი თარიღები

### 24-28 სექტემბერი

აკადემიის კვირეული

#### დაწყებითი საერთაშორისო კურიკულუმის თემის გახსნა:

26-28 სექტემბერი  
I-II კლასების კლდეზე ცოცვის აქტივობა სპორტულ კომპლექს "არენა2"-ში

#### დაწყებითი საერთაშორისო კურიკულუმის თემის გახსნა:

26, 27, 28 სექტემბერი  
III-IV კლასების ვიზიტი სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში

### 29 სექტემბერი

ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკი ვაკის პარკში - 12:00 - 14:30 საათი

### 27 სექტემბერი

კლასგარეშე აქტივობებზე რეგისტრაციის შეწყვეტის დრო - 10:00 საათი

### 1-ლი ოქტომბერი

კლასგარეშე აქტივობების პროგრამების დაწყების თარიღი

### 12 ოქტომბერი

VI-XII კლასის მოსწავლეების აკადემიური დაჯილდოების ცერემონია - 18:30 საათი

ძვირფასო მშობლებო და ბავშვებო,

იმისათვის, რომ ახალი სასწავლო წლის დასაწყისის დადებითი განწყობა მთელი წელი შევინარჩუნოთ, აკადემიაში ბევრ საინტერესო ღონისძიებას ვგეგმავთ. მიმდინარე კვირას აკადემიის კვირეული გვაქვს. აკადემიის კვირეულზე მოსწავლეებს სურვილის შემთხვევაში შეეძლება კვირის თითოეულ დღეს განსხვავებული თანისამოსით/აქსესუარით მობრძანდნენ სკოლაში. აკადემიის კვირეულის ფარგლებში მათ ასევე საშუალება ექნებათ ადმინისტრაციაში დატოვონ სასურველი თანხა საქველმოქმედო კამპანიისთვის. კვირეულის დასრულების შემდეგ დაგროვილი თანხა გადაირიცხება დიმიტრი ცინცაძის საქველმოქმედო ფონდში იმ კონკრეტული ბენეფიციარისთვის, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს დახმარებას.

აკადემიის კვირეულის მომდევნო დღეებში გვაქვს შემდეგი თემატიკა:

27 სექტემბერი, **კულტურათა მრავალფეროვნების დღე** - მსურველებს შეუძლიათ აარჩიონ რომელიმე ქვეყნის ეროვნული ტანსაცმელი და შეუერთდნენ მრავალფეროვნების ზეიმს აკადემიაში.

28 სექტემბერი, **კოსტიუმირებული კარნავალი** - ამ დღეს საკარნავალო კოსტიუმების დღე გვაქვს.



## VI-XII კლასების მოსწავლეების აკადემიური დაჯილდოება



ბრიტანულ-ქართული აკადემიის ერთ-ერთი გამორჩეული ღონისძიება გახლავთ წინა წლის აკადემიური შედეგებისა და ჰაუს ქულების მიხედვით მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონია. ღონისძიება, რომელსაც ჩვენი მხიარული მეთორმეტე კლასელები გაუძღვებიან, დატვირთული იქნება მრავალფეროვანი აქტივობებით, რომლებიც მოწვეული ბენდის მიერ შესრულებული სასიამოვნო მუსიკით დასრულდება. იმის მიუხედავად, რომ V კლასელები წელს არ დაჯილდოვდებიან, ღონისძიებაზე მათაც ვეპატიჟებით სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით. სტუმრებს ჩვენი მზარეულების ორიგინალური და გემრიელი კერძების დაგემოვნების შესაძლებლობა ექნებათ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თითოეული ოჯახიდან მოსწავლის გარდა ღონისძიებაზე დასწრება შეუძლია ორ ადამიანს.

## IPC - თემების გახსნა



მომდევნო 5 კვირის განმავლობაში დაწყებითი კლასების მოსწავლეები დაწყებითი საერთაშორისო კურიკულუმის ფარგლებში საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ, ასევე ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საინტერესო თემებს შეისწავლიან. კლასებისათვის შესაბამისი თემების მაქსიმალურად ეფექტური წარდგენისათვის სხვადასხვა სახალისო ღონისძიება იგეგმება. I-II კლასების მოსწავლეები დაკავდებიან კლდეზე ცოცვის აქტივობით სპორტულ კომპლექს „არენა 2-ში“; III-IV კლასების მოსწავლეები კი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიტყობენ საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში.

## ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ტყვიის შემცველობის დონე

კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე ეხება აშშ-ის საელჩოს ექსპერტთა გუნდის დასკვნას ბრიტანულ-ქართული აკადემიის ტერიტორიაზე ტყვიის შემცველობის შესახებ. საელჩომ თბილისის ტერიტორიაზე რამდენიმე ადგილას შეამოწმა საკვება და საღებავში ტყვიის შემცველობის დონე. მოხარულები ვართ გაცნობით, რომ ბრიტანულ-ქართული აკადემიის ტერიტორიაზე ტყვიის შემცველობის დონე უსაფრთხო, დასაშვებ ზღვარს არ აღემატება.

## კლასგარეშე პროგრამები



მოხარულები ვართ, რომ ჩვენს მოსწავლეებს წლევანდელ სასწავლო წელსაც კლასგარეშე პროგრამების მრავალფეროვან არჩევანს ვთავაზობთ. კლასგარეშე პროგრამებზე რეგისტრაცია უკვე დაიწყო. პროგრამების გრაფიკისა და აღწერის, ასევე პროგრამებზე მოსწავლეების რეგისტრაციის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ელექტრონული ფოსტის საშუალებით უკვე მიიღებდით. შეგახსენებთ, რომ რეგისტრაციის ბოლო დღე გახლავთ 27 სექტემბერის დილის 10:00 სთ.

გთხოვთ გაითვალისწინეთ რამდენიმე საკითხი: თითოეულ მოსწავლეს მაქსიმუმ 3 კლასგარეშე აქტივობაში მიეცემა მონაწილეობის მიღების საშუალება; ამასთანავე, მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დღეში მხოლოდ ერთ აქტივობაში; ყველა კლასგარეშე აქტივობა განკუთვნილია როგორც გოგონებისთვის, ისე ბიჭებისთვის; კლასგარეშე აქტივობაზე დარეგისტრირებული მოსწავლეები ვერ ისარგებლებენ აკადემიის შუადღის ტრანსპორტით;

კლასგარეშე აქტივობა „მუსიკალური თეატრი“ ითვალისწინებს მუსიკისა და დრამის ელემენტების შესწავლას, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მონაწილეობა მიიღონ საბავშვო მიუზიკლში, რომელიც დეკემბერში გაიმართება ჩვენი სკოლის საზოგადოებისთვის. თუ სურვილი გაქვთ, რომ თქვენმა ბავშვმა მონაწილეობა მიიღოს აკადემიის ამ ღონისძიებაში, „მუსიკალური თეატრის“ კლასგარეშე აქტივობაზე დარეგისტრირება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ბავშვი მიუზიკლში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

## პირველკლასელთა მიღება

ნინა კვირას ჩვენს სასკოლო საზოგადოებას პირველკლასელთა არაჩვეულებრივი ჯგუფი შეემატა. ტრადიციულად, პირველკლასელებს და მათ მშობლებს საზეიმო მიღებით ვუმასპინძლეთ.



## გასათვალისწინებელი წესები მშობლებისთვის

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აკადემიის წესების მიხედვით, აკრძალულია სკოლის ტერიტორიაზე არაჯანსაღი ე.წ. „ჯანქ ფუდის“ ტიპის საკვებისა და სასმელის მიღება. ბავშვებმა სკოლაში არ უნდა წამოიღონ ჩიფსი, გაზიანი სასმელები, შოკოლადი და სხვა მსგავსი საკვები.

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი შეუფერხებლად წარიმართოს, გვინდა გთხოვოთ, რომ მას შემდეგ, რაც ბავშვებს საკლასო ოთახამდე მიიყვანთ, დატოვოთ აკადემიის შენობა, თუ რამე სხვა მნიშვნელოვანი საქმე არ გაქვთ. ასევე, მოგმართავთ თხოვნით, რომ სწავლის დასრულებამდე (I-VI კლასები - 14:40; VII-XII კლასები - 15:30 საათი) არ შეზღუდოთ მე-2 და მე-3 სართულის ჰოლში, სადაც საკლასო ოთახებია განლაგებული. იმ შემთხვევაში, თუ მშობლეს/კანონიერ წარმომადგენელს სურს მოსწავლის სკოლიდან ადრე გაყვანა, მას შეუძლია მობრძანდეს ადმინისტრაციაში და ჩვენი თანამშრომლები უზრუნველყოფენ საკლასო ოთახიდან მოსწავლის გამოყვანას.

მოგეხსენებათ, პუნქტუალურობა მოსწავლის აკადემიური წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. მოსწავლე ვალდებულია აკადემიაში გამოცხადდეს 9:00 საათამდე. გთხოვთ წერილობითი ფორმით ან ტელეფონით წინასწარ შეატყობინოთ აკადემიის ადმინისტრაციას იმ გამონაკლისი შემთხვევის შესახებ, რომლის გამოც თქვენს ბავშვს მოუწევს სკოლაში დაგვიანება.

იმ შემთხვევაში, თუ აკადემიის ტერიტორიაზე ფოტოების გადაღების სურვილი გაქვთ, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სხვა ბავშვების პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, ფოტოზე აღბეჭდილი უნდა იყოს მხოლოდ თქვენი ბავშვი. ჯგუფური ფოტოების გადაღების სურვილის შემთხვევაში წინასწარ უნდა აიღოთ ნებართვა ფოტოს გადაღებაზე.

შეგახსენებთ, რომ მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აკადემიის სივრცეში აკრძალულია საიდენტიფიკაციო ბარათების გარეშე გადაადგილება. გთხოვთ აკადემიაში გადაადგილებისას საიდენტიფიკაციო ბარათები გეკიდოთ გულზე. თუ ჯერ კიდევ არ გაქვთ შესაბამისი ბარათები, გთხოვთ მოგმართოთ ადმინისტრაციაში.

მნიშვნელოვანია მშობლებმა მუდმივად ადევნონ თვალი მოსწავლის ელექტრონულ ჟურნალს, სქულბუქს, რომელიც იძლევა ინფორმაციას მოსწავლის შეფასებების, გაცდენების და დაგვიანების შესახებ. იმ მშობლებს, რომლებსაც ჯერ არ აქვთ სქულბუქის სარეგისტრაციო მონაცემები, გთხოვთ მიმართოთ ადმინისტრაციას.

## ილიაუნის სამეცნიერო ჰიკნიკი 2018



აკადემია წელსაც მონაწილეობს ილიაუნის სამეცნიერო ჰიკნიკში, რომელიც 29 სექტემბერს ვაკის-პარკში გაიმართება. წლევიანდელი სამეცნიერო ჰიკნიკის თემაა „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“. წელს აკადემიის მიზანია, სხვადასხვა ექსპერიმენტისა და ინტერაქციული აქტივობის საშუალებით, ჯანსაღი ცხოვრების წესის, მათ შორის სწორი კვებისა და ფიზიკური აქტივობების მნიშვნელობის წარმოჩენა. თუ გსურთ შაბათი დღის საინტერესოდ გატარება, შეგიძლიათ მობრძანდეთ ვაკის პარკში და ეწვიოთ ბრიტანულ-ქართული აკადემიის კარავს N20 12:00-დან 14:30 საათამდე.